ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 11 მაისის სხდომის

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2020 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების შედეგების განხილვის შესახებ

მომხს: ნინო მაღლაკელიძე

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 დეკემბრის N27 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ნინო მაღლაკელიძე

3. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2020 – 2021 წლების ეკონომიკური განვითარების გეგმის დამტკიცების შესახებ

მომხს: ჯაბა ბერაძე

4. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ საქასრიაში მდებარე 1908 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 36.03.34.117). პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლით, იჯარის ფორმით ერთი წლის ვადით კომპანია hinan bridge construqcion group co. ltd -სათვის გადასაცემად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

მომხს: ჯაბა ბერაძე

5. დაბა ხარაგაულში, 9 აპრილის ქუჩა N48-ში მდებარე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 256 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწისა და მასზედ მდგარი 150.50 კვ.მ შენობა-ნაგებობის (ს/კ 36.01.33.165) სახელმწიფოსათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ

მომხს: ჯაბა ბერაძე

6. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2019 წლის 17 ოქტომბერს შექმნილი „დროებითი სამუშაო ჯგუფისათვის" უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ

მომხს: მალხაზ ფხალაძე

სხვადასხვა:

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის დასკვნის გაცნობა

მომხს: ოთარ ლურსმანაშვილი

2. ახალი კორონა ვირუსის covid- 19 -ის გავრცელების გამო, ქვეყანაში გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობიდან გამომდინარე მოქალაქეებს, რომლებსაც აქვთ სხვადასხვა საჭიროებები და ვერ ახერხებენ მათ მოგვარებას , აღნიშნულ პირთა საჭიროებების უზრუნველყოფის ორგანიზების მიზნით ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების მონიტორინგის შესახებ

მომხს: მანანა ბარბაქაძე

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 11 მაისის სხდომის

ოქმი N 8

დაბა ხარაგაული 2020 წლის 11 მაისი

9 აპრილის . #15

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე - მანანა ბარბაქაძე,

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები, აატა გოგოლაძე, დავით კიკნაძე, გივი თხელიძე, მალხაზ ფხალაძე, აკაკი ლურსმანაშვილი, ვარლამ ჭიპაშვილი, ოთარ ლურსმანაშვილი, მარინე ხვედელიძე, ეკატერინე შველიძე, იამზე პაქსაშვილი, რუსუდან გიორგაძე, ლენა აბაშიძე, ნონა ზურაბიანი, შალვა ლურსმანაშვილი, ირაკლი ფერაძე, პავლე კიკალიშვილი, ვახტანგ ტალახაძე, ვლადიმერ ტალახაძე, ნიკოლოზ მაღრაძე, იუზა კელენჯერიძე , გივი ხიჯაკაძე, ბესიკ ტალახაძე, ზურაბ ხაჩიძე, თეიმურაზ ფცქიალაძე, დავით მაღლაფერიძე, აკაკი მაჭავარიანი, ინგა მაღრაძე, თორნიკე ავალიშვილი, ქეთევან ზუმბაძე, სულ საკრებულოს 30 წევრი.

სხდომას ესწრებოდნენ:

მერიის წარმომადგენელი:

ჯაბა ბერაძე - მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი,

ვლადიმერ გელაშვილი - მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი,

ნინო მაღლაკელიძე - მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის განყოფილების უფროსი,

ნანა კიკნაძე- მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი,

საკრებულოს აპარატის წარმომადგენლები:

ლენა კალანდაძე– საკრებულოს აპარატის უფროსი,

ზაალ ორბელაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში,

ნინო თხელიძე -საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში,

ივანე ჭიპაშვილი - საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე

საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები:

ე. შავიძე -ა.ა.ი.პ ,,მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების ცენტრის" დირექტორი,

თ. გოგოლაძე – გაზეთ „ჩემი იმერეთის" ჟურნალისტი.

თ. ბერიძე - მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი,

ლ. ნიქაბაძე - მერის მრჩეველი

Tvpirveli - ჟურნალისტი

მოისმინეს: საკრებულოს თავმჯდომარის მანანა ბარბაქაძის ინფორმაცია, მან საკრებულოს წევრებს წარუდგინა სხდომის დღის წესრიგი

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2020 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების შედეგების განხილვის შესახებ

მომხს: ნინო მაღლაკელიძე

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 დეკემბრის N27 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ნინო მაღლაკელიძე

3. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2020 – 2021 წლების ეკონომიკური განვითარების გეგმის დამტკიცების შესახებ

მომხს: ჯაბა ბერაძე

4. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ საქასრიაში მდებარე 1908 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 36.03.34.117). პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლით, იჯარის ფორმით ერთი წლის ვადით კომპანია hinan bridge construqcion group co. ltd -სათვის გადასაცემად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

მომხს: ჯაბა ბერაძე

5. დაბა ხარაგაულში, 9 აპრილის ქუჩა N48-ში მდებარე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 256 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწისა და მასზედ მდგარი 150.50 კვ.მ შენობა-ნაგებობის (ს/კ 36.01.33.165) სახელმწიფოსათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ

მომხს: ჯაბა ბერაძე

6. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2019 წლის 17 ოქტომბერს შექმნილი „დროებითი სამუშაო ჯგუფისათვის" უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ

მომხს: მალხაზ ფხალაძე

სხვადასხვა:

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის დასკვნის გაცნობა

მომხს: ოთარ ლურსმანაშვილი

2. ახალი კორონა ვირუსის covid- 19 -ის გავრცელების გამო, ქვეყანაში გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობიდან გამომდინარე მოქალაქეებს, რომლებსაც აქვთ სხვადასხვა საჭიროებები და ვერ ახერხებენ მათ მოგვარებას , აღნიშნულ პირთა საჭიროებების უზრუნველყოფის ორგანიზების მიზნით ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების მონიტორინგის შესახებ

მომხს: მანანა ბარბაქაძე

და კენჭის ყრაზე დააყენა საკითხი დღის წესრიგის დამტკიცების თაობაზე

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 30 წევრი

მომხრ 30

წინააღმდეგი 0

დღის წესრიგი მიღებული იქნა (თან ერთვის)

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის განყოფილების უფროსის ნინო მაღლაკელიძის ინფორმაცია საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2020 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების შედეგების შესახებ (თან ერთვის)

აზრი გამოთქვეს:

თ. ავალიშვილმა - მან აღნიშნა, რომ სოფელ ვარძიაში მცხოვრებ ონკოლოგიურ ავადმყოფს მერიის მიერ არ დაუფინანსდა საზღვარგარეთ სამკურნალოს წასასვლელი თანხ იმ ოდენობით, რომელიც დადგენილია მუნიციპალიტეტის მიერ,

ვ.გელაშვილმა განმარტე, რომ ყველა ვერ დაფინანსდება, ამ კონკრეტულ შემთხვევაზე მე ვერ გიპასუხებთ,

ნ. კიკნაძემ განმარტა, რომ აღნიშნულ მოქალაქეს მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილი ჰქონდა განცხადება პირველადი გამოკვლევის დაფინანსებისათვის, რაც დაკმაყოფილებული იქნა დანარჩენი განცხადება ჩვენთან არ შემოსულა.

ი. მაღრაძემ კითხვით მიმართა მომხსენებელს იმ ღონისძიებების შესახებ, რომელიც იგეგმება შემოსავლების შემცირების პირობებში პრობლემების აღმოსაფხვრელად

ვ. გელაშვილმა უპასუხა, რომ პირველი კვარტალი ყოველთვის არის პრობლემური ნამდვილი ანალიზის გაკეტება 6-9 თვის შესრულების ანალიზის დროს უფრო თვალნათელი იქნება და შემდგომი ღონისძიებების დაგეგმვაც გახდება უფრო ნათელი.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი პირველი კვარტლის შესრულების შედეგების ცნობად მიღების შესახებ

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის განყოფილების უფროსის ნინო მაღლაკელიძის ინფორმაცია საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 დეკემბრის N27 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე (თან ერთვის)

აზრი გამოთქვეს:

ვ. ჭიპაშვილმა აღნიშნა, რომ საფინანსო - საბიუჯეტო კომისიაზე საკითხი განვიხილეთ და მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ სასამართლო გადაწყვეტილება უნდა შესრულდეს ასევე მხარდაჭერილია ერთსულოვნად სოციალური დახმარებისათვის 30 000 ლარის გამოყოფის თაობაზე

ი. მაღრაძემ აღნიშნა, რომ დახმარებისათვის თანხის დამატებით გამოყოფა დროულია და საჭირო მხარს დაუჭერთ, თუმცა სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებით მაქვს კითხვები, რატომ არ შეეცადა მერია გასაჩივრებას ზემდგომ სასამართლო ინსტანციებში, ამისთვის პასუხს რატომ არ ვითხოვთ?

ი. ლურსმანაშვილმა მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსმა, *განმარტა, რომ უზენაეს სასამართლოში დამკვიდრდა პრაქტიკა, რომ* მეწარმე სუბიექტისათვის 0.02 %-ის ზევით ჯარიმის დაკისრება, ამიტომ გასაჩივრებას აზრი ეკარგებოდა.

თ. ავალიშვილმა აღნიშნა, რომ თითქმის 100 000 ლარი გადავიხადეთ სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებისათვის, გაჭირვებულ მოქალაქეებს 30 000 ლარით ვეხმარებით და თავს ვიწონებთ.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი და კენჭის ყრაზე დააყენა საკითხი

კენჭის ყრაში მონაწილეობდა =30= წევრი

მომხრე=====27

წინააღმდე =====2

საკრებულომ გადაწყვიტა: დადგენილება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის ჯ, ბერაძის ინფორმაცია საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2020 – 2021 წლების ეკონომიკური განვითარების გეგმის დამტკიცების შესახებ (თან ერთვის)

აზრი გამოთქვეს:

ვ. ჭიპაშვილმა აღნიშნა, რომ ეკონომიკური განვითარების გეგმას მხარს უჭერს,

ი. მაღრაძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტი ნორმალურია, ბევრი კარგი ინფორმაციაა მოცემული და მისასალმებელია

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი და კენჭის ყრაზე დააყენა საკითხი კენჭის ყრაში მონაწილეობდა =30= წევრი

მომხრე=====30

წინააღმდე =====0

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის ჯ, ბერაძის ინფორმაცია საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ საქასრიაში მდებარე 1908 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 36.03.34.117). პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლით, იჯარის ფორმით ერთი წლის ვადით კომპანია hinan bridge construqcion group co. ltd - სათვის გადასაცემად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ (თან ერთვის)

საკითხთან დაკავშირებით კითხვები არ დასმულა.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი და კენჭის ყრაზე დააყენა საკითხი

კენჭის ყრაში მონაწილეობდა =30 წევრი

მომხრე=====30

წინააღმდე =====0

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის ჯ. ბერაძის ინფორმაცია საკითხზე - დაბა ხარაგაულში, 9 აპრილის ქუჩა N48-ში მდებარე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 256 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწისა და მასზედ მდგარი 150.50 კვ.მ შენობა-ნაგებობის (ს/კ 36.01.33.165) სახელმწიფოსათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ (თან ერთვის)

საკითხთან დაკავშირებით კითხვები არ დასმულა.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი და კენჭის ყრაზე დააყენა საკითხი

კენჭის ყრაში მონაწილეობდა-----30 წევრი

მომხრე ======30

წინააღმდეგი ======0

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

მოისმინეს : ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2019 წლის 17 ოქტომბერს შექმნილი „დროებითი სამუშაო ჯგუფისათვის" უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი და კენჭის ყრაზე დააყენა საკითხი

კენჭის ყრაში მონაწილეობდა30 წევრი

მომხრე 30

წინააღმდე 0

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

მოისმინეს დღის წესრიგით სხვადასხვაში გათვალისწინებული საკითხების პირველ საკითხზე საკრებულოს იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის ო. ლურსმანაშვილის დასკვნა საკრებულოს წევრის ჯამბულ გამცემლიძის მიერ ზედიზედ 6 თვის განმავლობაში საკრებულოს კომისიებსა და საკრებულოს სხდომებში მონაწილეობის არ მირების შესახებ, მან აღნიშნა, რომ ჯ. გამცემლიძის მიერ კომისიაში გადმოგზავნილი იქნა სამედიცინო დოკუმენტაცია, მისი მძიმე ჯანმრთელობის მდგომარეობის თაობაზე აღნიშნული საკითხის კომისიის სხდომაზე განხილვის დროს კომისიის იმსჯელა, მხედველობაში იქნა მიღებული მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ მიღებული იქნა დასკვნა ჯ. გამცემლიძის მიერ გაცდენილი პერიოდი ჩაითვალოს საპატიოდ.

საკრებულომ მიიღო გადაწყვეტილება საკრებულოს კომისიის მიერ წარმოდგენილი დასკვნა მიღებული იქნეს ცნობად

მოისმინეს დღის წესრიგით სხვადასხვაში გათვალისწინებული მეორე საკითხის - ახალი კორონა ვირუსის covid- 19 -ის გავრცელების გამო, ქვეყანაში გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობიდან გამომდინარე მოქალაქეებს. რომლებსაც აქვთ სხვადასხვა საჭიროებები და ვერ ახერხებენ მათ მოგვარებას , აღნიშნულ პირთა საჭიროებების უზრუნველყოფის ორგანიზების მიზნით ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების მონიტორინგის შესახებ საკრებულოს თავმჯდომარის მ. ბარბაქაძის ინფორმაცია მან აღნიშნა, რომ მიზანშეწონილად მიაჩნია შესწავლილ იქნეს კორონა ვირუსის გავრცელების პერიოდისათვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების ხარჯვის კანონიერება, თუ ვის გაეწია დახმარება და რა სახის პაკეტი მიიღო მოქალაქეებმა, ამ საკითხის მონიტორინგი, დაევალოს საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიას, სურვილის შემთხვევაში მონიტორინგში ჩაერთოს საკითხით დაინტერესებულ პირები და კომისიამ წარმოადგინოს დასკვნა

ამით საკრებულოს სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე